

დაბრუნება

"სიონი შავალ..."

- ვიქტორ ხომერკი გახლავართ, ნარმოობით ოზურგეთის მაზრის სოფელ მიქელგაბრიელიდან, - ხელი ჩამოვართვი, თან ჩემთვის ვფიქრობდი, გურია კარგად ვიცი, მაგრამ ეს სოფელი არ გამოვიცა... - იგონებს ანზორ ერქომაიშვილი.

A3

სამართალი

მორიგი ყაჩაღობა
კონფლიქტის ზონაში

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, 23 მაისს, დაახლოებით დღის 4 საათზე, ცხინვალის მთავალ მამა-შვილს, სოფელ ავანეში მცხოვრებ ჯამბულა და ალექსანდრე დურგლიშვილებს, სოფელ ტბეთის მოდამოებში ვაზ-21-09 მარკის ავტომანქანიდან ცეცხლი გაუხსნეს.

A2

ეკონომიკა

კონტროლის
ვალადა
"საქართველოს
ფოსტას" პენსიების
დაგვიანებით
გაცემაზე ახელს

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული სარევიზო შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ შ.პ.ს. "საქართველოს ფოსტას" საქმიანობა არაეფექტური და ზარალიანია.

A4

უსხოვითი

საუბრის
ბაძლიერებას
აშშ უწყობს ხელს

თბილისში სუჟამ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრამ ამ ორგანიზაციის ახალი პერსპექტივები გამოაჩინა.

A5

მარსი: ნითალი თუ მკვდარი

ამ ზაფხულს მარსი უფრო მოუახლოვდება დედამიწას, ვიდრე ოდესმე ბოლო ათასობით წლის განმავლობაში - მანძილი ორ პლანეტას შორის 55 მილიონ კილომეტრამდე შემცირდება. წითელ პლანეტასთან შესახვედრად ბრიტანული თანამგზავნი "ბიგლ 2" გაემგზავრება. იგი ველოსიპედის საბურავის ზომისაა, მაგრამ მაინც შეუძლია პასუხი გასცეს მარადიულ კითხვას: არის თუ არა სიცოცხლე მარსზე.

A5

თავდადებული

ინჟინერი ზურაბ
ტატიშვილი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, გვსურს მკითხველს გაავაცნოთ ამ მეტროპოლითა ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი - ზურაბ (ზუბიკ) ტატიშვილი.

A7

ანიონი

თბილისი	28	☀
ქუთაისი	31	☀
ბათუმი	26	☀
სოხუმი	28	☀
ფოთი	28	☀
თელავი	27	☀
ზუგდიდი	31	☀
გორი	26	☀
ახმეტა	27	☀
ჰიათურა	29	☀
ბაზრა	26	☀
სამტრედი	30	☀

**უსხოვარი ვალუტის
ოფიციალური კურსი
ლართან მიმართებაში**

აშშ დოლარი	2.1475
ევრო	2.5134
გირვანკა სტერლინგი	3.5129
რუბლი	0.0697

დამოუკიდებლობის დღე



ამ მიწაზე. მათი გმირი წინაპრები - იუნკრები დაეცნენ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში: რამდენიმე წუთში კი. ეს ყმაწვილები. იმავე მიწას ერთგულებას შეჰფიცავენ.

თამარ ხორბალაძე

აქ იუნკრები დამოუკიდებელი საქართველოსთვის იბრძოდნენ. 1921 წელს ქართველი იუნკრები თბილისის მისადგომებთან შეეცადნენ წინ აღდგომოდნენ მე-11 არმიის მიერ საქართველოს ანექსიას. ისინი უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ. "მაშინაც ღალატი იყო საქართველოს დამარცხების მთავარი მიზეზი," - იტყვის რვა ათეულზე მეტი

წლის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ქართველი მეომრების მემორიალისა და ნმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გახსნის ცერემონიაზე, კოჯორში. "შსგავსი საფრთხე ისევ არსებობს, როგორც ქვეყნის გარეთ, ისე მის შიგნით. 1921 წლის თებერვლი საქართველოსთვის გაფრთხილებაა - თავისუფლების მოპოვება ძნელია, დაკარგვა კი - ადვილი", - გააფრთხილა თანამემამულეები ედუარდ შევარდნაძემ.

გუშინ, 25 მაისს, დიდგორის ორდენისა და ქალთა ორგანიზაციის ძალისხმევით კოჯორში აკურთხეს ეკლესია და დაიდგა იუნკრების მემორიალი. გუშინვე, მთავარსარდლის - საქართველოს პრეზიდენტს წინაშე საზეიმო ფიცი დადეს კოჯორის სპეცდანიშნულების ბატალიონის ახალწვეულებმა, რომლებიც "მშვიდობას დაცვავენ მთელ მსოფლიოში - ერ-აყში იქნება საჭირო, კოსოვოში თუ სხვაგან...". ქოროლის ციხის ძირში შეკერ-

ბილი საზოგადოება გოგი ქვეთარაძის რეჟისურით შექმნილი წარმოდგენის, საქართველოს პრეზიდენტისა და სახელისუფლებო ძალის წარმომადგენელთა სტუმრობის მოწმე გახდა. ალბათ დაცვის გაძლიერებული კორდონების გამო, ამ ზეიმს ძალიან ბევრი მსურველი ვერ დაესწრო, თუმცა ციხის მისადგომებთან შეკრებილი მოსწავლეები მორჩილად ელოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს, რათა ბოლო ზარი და ახალი ეკლესიის გახსნა თავადაც თავისებურად აღენიშნათ.

"ჭორჭიან თაიშგა" და "გორბი" წლის საუკეთესო ბიზნესმენები დაასახელეს

გუშინ საღამოს, რესტორან "სარაჯიშვილი" მედია პოლიდენგმა "ჯორჯიან თაიშგა" და სოციოლოგიური კვლევის ცენტრმა "გორბიმ" ქართველი ბიზნესმენების დაჯილდოების ყოველწლიური ცერემონია, ნიალს, შეიძლება ითქვას, მთელი ქართული ბიზნეს-ელიტა ესწრებოდა. ბიზნესის სფეროში მიღწეული წარმატებებისთვის დასაჯილდოებულ კანდიდატურებს შორის 21 ნომინანტი - კერძო ბიზნესის წარმომადგენელი გახლდათ, 11 კი - სახელმწიფო საწარმოს ხელმძღვანელი. ნომინანტებზე წარდგენილი იყვნენ კერძო ბიზნესის წარმომადგენლები: ზურაბ ჩიგოგიძე

("აიეტი"), თამაზ გაიაშვილი ("აირზენა"), თენგიზ მეზურნიშვილი ("ლდაგი"), ავთო იაშვილი ("ახალი ქსელეზი"), გიგა ჩრდილელი ("ქართუ"), ზურაბ აღინაშვილი ("ბრიტოშ ამერიკან თობაქი"), ივანე ჩხარტიშვილი ("გაერთიანებული ქართული ბანკი"), ვახტანგ ბუცხრიკიძე ("თი-ბი-სი" ბანკი), დავით ვეფხვაძე ("ინტელექტბანკი"), თემურ ჭყონია ("კოკა-კოლა"), პაატა კერეხაძე ("აერსი"), გიორგი ჯობთაბერიძე ("მაგთი"), ეროსი კინმარიშვილი ("რუსთავი-2"), ვახტანგ სალაყაია ("რუსთაველი"), ავთანდილ წერეთელი ("სამგორი-94"), გიორგი მეგელია ("სანტე"), ვლადიმერ პატიშვილი ("საქართველოს ბანკი"),

ბაზრქალაბა A5 ბავრდუა

საპარლამენტო არჩევნები სომხეთის იმპიის გაუმჯობესების ზანსია

რეპუა ბახტაძე
25 მაისს სომხეთში საპარლამენტო არჩევნები და საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ რეფერენდუმი გაიმართა. ორი თვის წინ გამართული საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად, ამ არჩევნების დემოკრატიულობასა და სამართლიანობას ევროსაბჭოსა და ეუთო-ს საერთაშორისო დამკვირვებლები შეაფასებენ. ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა პარასკევს სომხეთის ხელისუფლება გააფრთხილა, რომ საპარლამენტო არჩევნების სათანადოდ ჩატარება ევრო-

საბჭოში სომხეთის მომავლისათვის გადამწყვეტი იქნება. "არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი უნდა იყოს. ეს გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მოგებულის ან ნაგებულის საპარლამენტო ადგილების რაოდენობა", - ნათქვამია შვიმერის განცხადებაში. საპარლამენტო არჩევნებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 24 წევრი და ეუთო-ს 200-მდე წარმომადგენელი აკვირდებოდა. მათ გარდა, არჩევნების მონიტორინგი დსთ-ის დამკვირვებლებმა და ადგილობრივმა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა განახორციელეს. ბაზრქალაბა A5 ბავრდუა

შეპარდნაძე: მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ

ფრაგმენტი ინტერვიუდან, რომელიც პრეზიდენტმა შევარდნაძემ "მოსკოვსკი ნოვოსტის" მისცა: როგორც თქვით, რამდენიმე ხანში თქვენი საპრეზიდენტო მანდატი იწურება. რის გაკეთებას აპირებთ ამის შემდეგ? შეგინდობთ უკვე დასახელოთ თქვენი შემკვიდრე? - სამი-ოთხი თვის წინ ვფიქრობდი, რომ მიიჩნა, მეც პოლიტიკა. შემდეგ კი, ჩვენი ოპოზიციის შემხედვარე, ჩემს გადამწყვეტილებაში ეჭვი შეგეპარა. ჩვენი პარტიების ზოგიერთი ლიდერი უპასუხისმგებლოდ იქცევა. თუ ისინი მოვლენ ხელისუფლებაში, ქვეყანას დაღუპავენ. ეს საფრთხე რომ ვიგრძენი, გადაწყვეტილება შევიცვალე. ახლა ჩვენ პოლიტიკურ ბლოკს ვაყალიბებთ. მასში ბევრს სურს შესვლა. მე რას ვგააკეთებ? რა თქმა უნდა, მე ვეღარ ვიქნები პრეზიდენტი, არ ვიქნები დეპუტატი და არც დენ სიაოპინი, როგორც ბევრს ჰგონია. თუმცა, მიმაჩნია, რომ დენმა აქცია ჩინეთი დიდ ქვეყნად. მე მას პირადად ვიცნობდი და პატივს ვცემდი. მაგრამ, თუ ჩვენ შემოდგომაზე პარლამენტში უმრავლესობა ვერ გაიყვანეთ, მაშინ აუცილებლად რაღაცას მოვიფიქრებთ, თუმცა ამას ვერ თქვენ არ ვეტყვით. რაც შეეხება შემკვიდრეს, ამასთან დაკავშირებით რაღაც მოსაზრებები მაქვს, მაგრამ ვერ საიდუმლოა. თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, ამდენი ხნის პრაქტიკული მოღვაწეობის შემდეგ ბევრი რამ ქალაქდზე მინდა გადავიტანო. იმას, რაც მე ვიცი, სხვა ვერაფერს დანერს. შეიძლება ეს ჩემი პატარა წვლილი იყოს დიპლომატიის უახლესი ისტორიის შესწავლისათვის და მცირე კაპიტალი ჩემი ხალხისთვის. მე მართლაც გამომართლა: მონაწილეობა მივიღე დიდ ისტორიულ პროცესში - "ცივი ომის" ლიკვიდაციაში. არ ვიცი, ამ ყველაფერის დაწერას რამდენი დრო დასჭირდება, მაგრამ მე ვერ კიდევ ახალგაზრდა ვარ.

ბაიბარჯვა "სპილომ"

თამარ სუნიშვილი

25 მაისის საღამომდე, კანის ფესტივალის გამარჯვებულების გამოვლენამდე, რამდენიმე პრემია გაიცა. ჯერ იყო და პოლიეუდის ლეგენდა კლინტ ისტუუდი კანის ფესტივალის კინორეჟისორთა გილდიის პრემიის - "ოქროს ეტლის" ლაურეატი გახდა. ცოტა მოგვიანებით რუს რეჟისორს, ალექსანდრე სოკოლოვს ფილმისათვის "მამა და შვილი" კრიტიკის საერთაშორისო ფედერაციის პრესტიჟული პრემია - "ფიპრესი" მიენიჭა. კინოკრიტიკოსთა ფიურის რუსი ფურნალისტი ანდრეი პლახოვი თავმჯდომარეობდა. ეს პრემია მას კინემატოგრაფიული ოსტატობისა და ორიგინალური სიუჟეტისათვის გადაეცა. სიუჟეტი მამაშვილურ ურთიერთობაზეა აგებული. ბაზრქალაბა B1 ბავრდუა



ოქროს პალმის რტო" გას ვან სენტა მილო.

"საქტანო მონტორ" 24 მაისი №9 განათავებების სერიალი

Table with multiple columns containing numbers and text, organized in a grid-like structure. Each row contains several columns of data, likely representing different categories or measurements across various items.

კანი 2003

გაიმარჯვა "სპილო"

პირველი გვირგვინი

პროგრამა Un Certain Regard-ის გამარჯვებულ ფილმად, "ფიორის" ვერსიით, შარი ბერმანისა და რობერტ პულჩინის "ამერიკული ბრწყინვალეობა" (American Splendor) დასახელდა. კრიტიკოსებმა აღნიშნეს, რომ ეს ფილმი რეალობისა და გამოგონების ორიგინალური მიდგომით გამოირჩევა, მასში კინო და კომიქსები სხვადასხვა მეთოდებით არის შერწყმული ერთმანეთთან. სექციამ "რეჟისორის ორი კვირა" (Director's Fortnight) "ფიორის" პრიზი ერგო რეჟისორ ხაიმე როსალესის ფილმს "დღის საათები" (Las horas del día).

კანის ქუჩები პოლიფუნქციური აფიშებითაა მოფენილი, ათობით დინამიკიდან ისმის მესამე "ტერმინატორის" მუსიკა. ეს დინამიკები იმ უზარმაზარ ინსტალაციას აკრავს გარს, "მანქანების აჯანყება" რომ ჰქვია. დილაობით ხალხი შედარებით ცოტაა, შუადღისთვის უკვე უამრავი ცნობისმოყვარე მოცლილი იყრის თავს, ამთქმარებენ, ჭორობენ, აქეთ-იქით აცეცებენ თვალებს და გულს ფანტაზიებით ელოდებიან სმოკინგებსა და საღამოს კაბებში გამოწყობილ ვარსკვლავების გამოჩენას.

პაპარაცებიც, რა თქმა უნდა, მრავლად არიან. ერთი წუთითაც კი არ ისვენებენ, კუდში დასდევენ ვარსკვლავებს და ცდილობენ, თუ დამაინტრიგებელი პოზა არა, როგორმე დიმიდი მანიჩ გამოსტყუონ. ვერ ვიტყვით, რომ პაპარაცებს არ უმართლებთ, მსახიობების უმეტესობა კამერის წინ პოზირობს არ ურიდებია, ბევრ მათგანს არც კი სჭირდება ხეინა, ისინი ხალხისთვის პოზირობენ ფოტოკამერების წინ.

ვარსკვლავები პირდაპირ ლიმუზინებით მიადგებიან ცნობილ წითელ კიბეს. ყურნალისტებისთვის სწორედ აქ არის ყველაზე დიდი შანსი, რომ მსახიობები "გამოიჭირონ" და ფოტო გადაუღონ. მასმედიის წარმომადგენლებს ორგანიზაცია აკრედიტაციები აქვთ: ვარდისფერი და თეთრი. ვარდისფერი აკრედიტაციის მფლობელებს მარჯვენა კარიდან შესვლის უფლება აქვთ, თეთრი აკრედიტაციით "შეიარაღებული" ყურნალისტები კი დარბაზში მარცხენა კარიდან შედიან; ხოლო თუ აკრედიტაცია არ გაქვს, კაპიკა შენი ფასი.

კანი მთელ მსოფლიოში წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ელიტარული, პროფესიონალური, ბრწყინვალედ ორგანიზებული, სიურპრიზებით დახუნძლული და საოცრად არაპროფიტიზირებადი ფესტივალი მართლაც რომ ნამდვილი დღესასწაულია. ყოველ წელს კანის მოვლენებს უამრავი ადამიანი ადევნებს თვალს. მათ კი, ვინც ფესტივალს თვალყურს ადევნებს, კარგად იციან, რომ კანს აქვს თავისი კანონები, თავისი ჭირვეულობები, ჰყავს საკუთარი ფავორიტებიც და ათვალიწინებული პირებიც. კანი განსაკუთრებული ფესტივალია, ამიტომ ყოველწლიურად განსაკუთრებული ვენებათა აღსანიშნავი მომენტებია, რომლებიც დასწრეებს ახლავს. გაქრა ის მომენტები, რომლებიც კანი ისევე ახლავს, როგორც სხვა ფესტივალის შემთხვევაში.

კუთრებული ფესტივალია, ამიტომ ყოველწლიურად განსაკუთრებული ვენებათა აღსანიშნავი მომენტებია, რომლებიც დასწრეებს ახლავს. გაქრა ის მომენტები, რომლებიც კანი ისევე ახლავს, როგორც სხვა ფესტივალის შემთხვევაში.

გუშინ კანის ფესტივალი ჩარლი ჩაპლინის უკანასკნელი მუნჯური ფილმით "ახალი დროებით" (1936) დაიხურა. ამის შემდეგ კი ზღვის სანაპიროზე, კანის ფესტივალის სასახლეში, დახურვის საზეიმო ცერემონიალი დაიწყო. როგორც კრიტიკოსები ამბობენ, ჟიურის გადაწყვეტილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბოლო წუთებამდე, თითქმის ყველა, გამარჯვებას დანიელ რეისორს, ლარს ფონ ტრიერს უწინასწარმეტყველებდა, პუბლიკის სიმპათია კი კანადელი დენის არკანის "ბარბაროსთა შემოსევა" მხარზე იყო. მაგრამ არცერთი ვერსია არ გამართლდა. "ოქროს პალმის რტო" ამერიკელი რეისორის, გას ვან სენცის "სპილო" ხვდა წილად. "სპილო" თინეიჯერების ცხოვრებაზე და ამერიკის ერთ-ერთ სკოლაში დატრიალებულ რეალურ ტრაგედიაზე გვიამბობს. ამ ფილმმა ჩვენების დროს დიდი ინტერესი კი გამოიწვია და კარგი შეფასებაც დაიმსახურა, მაგრამ სხვა ნამუშევრების ფონზე თანდათანობით დაიჩრდილა. ამიტომაც მოჰყვა "ოქროს პალმის რტო" გაცემას ჭორების ახალი ტალღა. როგორც კულუარებში ამბობდნენ, გამარჯვებულის დასახელების დროს ჟიური უფრო პოლიტიკური მოტივებით ხელმძღვანელობდა და არა შემოქმედებითი პრინციპებით. ჟიურის გადაწყვეტილება კრიტიკოსთა ერთმა ნაწილმა პოლიტიკურ რევერანსად ჩათვალა, რომელიც საფრანგეთში ამერიკას გაუკეთა გაცივებული აშშ-საფრანგეთის ურთიერთობების ფონზე. რა თქმა უნდა, თავიდანვე ივარაუდებოდა, რომ დღევანდელ პირობებში კანის ფესტივალის გადაწყვეტილება ერთგვარად პოლიტიკური ხასიათის მატარებელი იქნებოდა, თუმცა "პოლიტიზირებული" პროგნოზების ავტორები ამჯერად შეცდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ საფრანგეთის ამერიკული რევერანსი კლინტ ისტუდის "მისტიკური მდინარის" ხარჯზე გაკეთდებოდა.

კანის ფესტივალის პრეზიდენტმა, ფრანგმა რეისორმა პატრის შერომ კი ადრევე დაიზღვია თავი, როცა ნახევრად სერიოზულად და ნახევრად ხუმრობით ასეთი რამ განაცხადა: "მე არასოდეს დავთანხმდები თუ ჟიურის წევრობაზე, მაგრამ ჟიურის პრეზიდენტობა სულ სხვა საქმეა. ეს, რა თქმა უნდა, აღიარებაა. მაგრამ ამას მეორე მხარეც აქვს. შეიძლება ხალხმა თქვას, რა სულელია ეს პრეზიდენტი, რატომ მიანიჭა "ოქროს პალმის რტო" ამა და ამ ფილმსო."



გას ვან სენტი, პატრის შერო, კატრინ ვიარდი და მეგ რაიანი



დენის არკანი და მარი-ჟოზე კრუზე

"ოქროს პალმის რტო" მფლობელი ფილმები

- 1939 Union Pacific
- 1946 დაკარგული უქმე
- 1949 მესამე კაცი
- 1951 მის ჯული
- 1952 თეთრი ფაფარი
- 1953 შიმის საზღაური
- 1954 მეგობრული დარიგება
- 1958 წეროები მიფრინავენ
- 1959 შავი ორფოლი
- 1960 ტიბელი ცხოვრება
- 1961 Viridiana
- 1964 შერბურის ქოლგები
- 1966 ქალი და მამაკაცი
- 1967 მსხვილი პლანი
- 1969 თუ
- 1970 M*A*S*H*
- 1971 შუაში გავლა
- 1973 საფრთხობელა
- 1974 საუბარი
- 1976 ტაქსის მძღოლი
- 1977 პადრე პადრონი
- 1978 ხის ფესისაქმლის ხე
- 1979 აპოკალიფსი ახლა
- 1980 თუნუქის დოლი
- 1980 მთელი ეს ჯაზი
- 1981 კაგემუმა
- 1981 რკინის კაცი
- 1982 მონატრება
- 1983 ლეგენდა ნარაიამაზე
- 1984 პარიზი, ტენასი
- 1985 როცა მამა ნასული იყო
- 1986 მისია
- 1987 სატანის ცის ქვეშ
- 1988 გამარჯვებული პელე
- 1989 სექსი, სიცრუე და ვიდუოჩანანერი
- 1990 უცხო პრობლემა
- 1991 ბარტონ ფინკი
- 1992 ჩემი ახალი თოფი
- 1992 საუკეთესო განზრახვა
- 1993 სამუდამოდ, ჩემო პიანინო
- 1994 მაკულატურა
- 1995 ანდერგაუნდი
- 1996 საიდუმლო და სიცრუე
- 1997 ალუბლის გემო Unagi
- 1998 Mia aioniotita kai mia mera
- 1999 როზეტა
- 2000 მოცეკვავე წყვილი
- 2001 ვაჟიშვილის ოთახი
- 2002 პიანისტი ქალი

კანის გამარჯვებულები 2003

საუკეთესო ფილმი: გას ვან სენტი, "სპილო" (აშშ)
 საუკეთესო რეჟისორი: გას ვან სენტი, "სპილო" (აშშ)
 საუკეთესო სცენარი: დენის არკანი, "ბარბაროსთა შემოსევა" (კანადა)
 საუკეთესო მსახიობი ქალი: მარი-ჟოზე კრუზე, "ბარბაროსთა შემოსევა" (კანადა)
 გრან-პრი: ნური ბილგე სელიანი, "უზაკი" (თურქეთი)
 საუკეთესო მსახიობი მამაკაცი: მუჰამედ ოზდემირი, მეჰმეთ ემინ ტოპრაკი (სიკედლის შემდეგ), "უზაკი" (თურქეთი)
 ჟიურის პრიზი: სამირა მახმალბაფი, "შუადღის ხუთი საათი" (ირანი)



ქუდი გოდრე და სამირა მახმალბაფი



ელიზაბეტ პარლი, ტანა მორო, დილიპ ნუარე, ორენლა მეტი და ქუდი გოდრე

ბიძინა მაყაზიშვილის სკატი



დამოუკიდებლობა

დამოუკიდებლობა ძალიან დიდი მონაპოვარია ერისთვის. გასულ, მეოცე საუკუნეში საქართველომ ორჯერ მოიპოვა დამოუკიდებლობა...

ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებლობას ხელოვნებაში. აი, როცა აკეთებ იმას, რაც გინდა (კანონის ფარგლებში, რა თქმა უნდა)...

მოკლედ, თბილისში 8 მაისიდან, თითქმის სამი კვირის განმავლობაში, მიმდინარეობდა ერთი ასეთი NGO-ს მიერ ორგანიზებული ფესტივალი "აპენდიქსი".

ზემოთხსენებული ფესტივალი ომის ესთეტიკასაც შეეხო, რაც ცხადია, სემინარზე აღსაქმელად და გასაანალიზებლად უფრო სასიამოვნოა...

გასულმა კვირამ კიდევ ერთი მოდური ტენდენცია დააფიქსირა - ეკოლოგია. გაისხნა ფოტო-გამოფენა ეკოლოგიურ თემაზე და აგრეთვე მალე ვიხილავთ ამავე თემაზე ჩვენი პოპ-მუსიკოსების მიერ შექმნილი სიმღერის ვიდეო-კლიპს...

მოდის და ამის მერე ნუ შეგშურდება ინგლისელების - "პინქფლოიდელ" დევიდ გილმორს 3 მილიონ 600 ათასი ფუნტი გადაურიცხია ლონდონელი უსახლკაროებისთვის...

ისე, კაცმა რომ თქვას, არც ჩვენ გვყავს გილმორის დონის მუსიკოსები; ასე რომ, ყველაფერი რიგზეა. ჩვენი მუსიკოსებიდან კი ამ კვირაში ორნი უნდა გამოვყოთ: ამერიკაში ემიგრირებული ლევან შენგელიას პროექტი ოპერაში უფრო მეტს გავპირდებოდა, ვიდრე მაღალი დონის რესტორნული მუსიკაა...

ასევე კომპიუტერულ-ელექტრონული მუსიკა წარმოადგინა დამოუკიდებელმა გერმანულმა ჯგუფმა "კრედენტალიზმი".

ჰო მართლა, დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ!

გამოიცა საერთაშორისო ასოციაცია "კვალის" ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულ ავტორთა კრებული. პრეზენტაცია გაიმართება 30 მაისს ეროვნულ ბიბლიოთეკაში 17 საათზე.

თბილისის წიგნის V ფესტივალი 11-14 ივნისი • ფილარმონია. Includes photos of the event and contact info: 33 50 96

ეს ჩვენ ვართ!

ლევან ხარანაულის პორტრეტები "ძველ გალერეაში"



მხატვარი კოლეგის გამოფენაზე

შნავი პორტრეტისტი, ნამდვილად არაა ახალი ამბავი. ამ გამოფენისთვის მხატვარი შეძლებისდაგვარად სრულად ეცადა თავისი შემოქმედების ამ ნაწილის წარმოდგენას...


მომენონა, პაატა ჯავახიშვილიც, შალვა მატუაშვილიც, ეკა საფარიშვილიც, მხატვრის მქალაქი ლელო სულაკაური ხომ მომონის და მომონის - ჩამოთვლას აღარ დავიწყებ. მრავალ ნაცნობ სახესთან ერთად ყველათვის ყველაზე ნაცნობ სახესაც შევხვდი - ვაჟა-ფშაველას...

ეკსპოზიციაზე მუშაობის პროცესის შემყურე ცოტა უიმედოდ ვიყავი - პატარა დარბაზისთვის თითქოს მეტი სმეტად ბევრი ნამუშევარი იყო და შეტისმეტად ბევრი ადამიანი იღებდა ამ საქმეში მონაწილეობას...

ერთ-ერთი ასეთი "მინაური" პორტრეტის მფლობელი მასთან მხოლოდ ორდღიანი განმარტების შემდეგ უკვე ამინუნუნდა, ოთახი აღარაფერს ჰგავსო...

26 მაისი „ვაკის სარდაფის“ დაბადების დღესაა

თონა ჯავახიძე



ამ სცენას დღეს იუბილე აქვს.

მარტში თბილისელმა თეატრალეზმა "უფროსი სარდაფის" დაბადების დღე აღნიშნეს. ის ექვსი წლის ვახდა. დღეს უმცროსი, ანუ "ვაკის" სარდაფია იუბილარი...

ისე პატარაცაა და პატარაც: მისი სცენა "უფროსი" სარდაფზე გაცილებით დიდია. "სიღრმე" - 14 მეტრი, სიგანე - 10 მეტრი. - მშობელივით ამყარებს თეატრის საშაბტკრო ხელმძღვანელი ლევან ნულაძე ანუ ჭოლა. და შემდეგ მისხნის: - უკლისები მექანიზებულია...

ლი, განათება ერთ-ერთი ინგლისური ფირმისაა. სხვათაშორის, თეატრის დასი ერთი კვირა რაც ინგლისიდან დაბრუნდა. სარდაფელების "ფაუსტმა" პრიტახული ქლაქები შემოიარა. "უფროსისა" და "უმცროსის" ერთი მანეთისაგან "გამორჩევა" მშობელი

ლიზიანდა. მაგრამ პირიქით მოხდა: ეხვეტი და მყურელის შეგრძნება ისეთია, რომ თითქოს ის იმ გარემოშია "შეჭრილი", რომელიც სცენაზე თამაშდება.

ორივე "სარდაფის" სცენების სპეციფიკიდან გამომდინარე, ლევან ნულაძე რეპერტუარის თავისებურებებზეც მსჯელობს: "ძველ "სარდაფს" უკვე კამერული სახე ჩამოუყალიბდა და აქ სცენა ექსპერიმენტებს დაეთმობა. ვაკის სარდაფის სცენა კი, სიდიდით მაგჯანაშვილის სცენას უტოლდება. აქედან დასკვნა რეპერტუარის თიხაზე შეგიძლიათ თავად გააკეთოთ; - ამბობს რეჟისორი. და მართლაც: "უმცროსი" სარდაფის სცენაზე უკვე ითამაშეს შექსპირი და ჩეხოვი. სცენის დახურვამდე ლევან ნულაძე "ხანუშას", ხოლო ოთარ ეგაძე ტრაგედიკომედიის - ერდმანის "თვითმკვლელებს" დადგინა აპირებს. თბილისელი მსახურელები მიეჩნევიან ანდერგაუნდში კლასიკას. 144 ადგილზე გათვლილი მსახურელების დარბაზი, ყოველ სპექტაკლზე აქ ვაკეშიც გადაჭედლილია.

ფოლკლორის მორიგი რაუნდი

სამი სიურპრიზი "ასსა ფართის" ბოლო სეზონზე

ქართული ფოლკლორის ნარმატებით დამკვიდრდა თბილისის საკულტუროცხოვრებაში. აღარც იმავე დავობენ, რომ "ასსა" ახალი სიტყვაა ქართულ სუბკულტურაში. დღემდე გამართულია "ასსა ფართის" რამდენიმე წარმოდგენა და ყველა მათგანი საკმაოდ წარმატებული გამოვიდა. ერთი მხედველით, "ასსა" საკულტო პროექტია, კაცკასიური ფოლკლორითა და თანამედროვე ევროპული საკულტო მუსიკის სინ-

თეზით, "სუბვილიების" შესრულებით, ტრადიციული და ეგზოტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით; თითქოს ყველაფერი მარტივადაა, მაგრამ არც ასეა მთლად საქმე - "ასსას" ყოველი "ფართი" დღემდე სხვადასხვა მოულოდნელობებით იპყრობს ჩვენს აუდიტორიას.

სიურპრიზებს ჰპირდებიან "სუბვილიები" ამ სეზონზე "ასსას" ბოლო წარმოდგენებზეც. 30-31 მაისსა და 1 ივნ-

ისი კლუბ "16 რაუნდში" სამდღიანი ფოლკლორული დაგეგმვა. ამჯერად "ასსა" პირველად გაიმართება ღია ცის ქვეშ. ხოლო, როგორც მისი ავტორები გვპირდებიან, ყოველ საღამოს მოსალოდნელია სიურპრიზები. "ასსას" ახალი, რიგითი მეოთხე წარმოდგენაში გამოყენებული იქნება ისეთი მუსიკალური ინსტრუმენტები, რომელიც: ქამანჩა (ჭუნირი), ფლიტა, ბას-დუდუკი, 200 და 500 ლიტრიანი

ღვინის კასრი, რომელიც ბას-კასრის სახელწოდებით შეიტანეს შოუში ავტორებმა. მთავარი სიხვე კი ისაა, რომ ამ სამი დღის განმავლობაში მსახურელები იხილავს 14-21 პირის დიდ საკონცერტო დარბაზში ანშლავებით წარმოდგენილ "სუბვილიების" ახალი საკონცერტო პროგრამის განსხვავებულ საკულტო ვერსიას. ამჟამად მზადდება ამ ვერსიის კომპაქტ-დისკისა და "ასსას" მისურების პრეზენტაცია.

დღეისათვის უკვე ხელახალი ჯონ ჯეისი. Includes logos for Bank of Georgia, Georgia Online, Channel Energy Limited, and Port of Poti. Contact info: 96 79 71, 877 75 76 05

შეავსეთ ანკედა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. გლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაანთავსოს თუ არა მონაცემთა ბაზაში "ხალხის პირისპირ". თქვენი შეტყობინებები, დაგისაზღვრებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკედის შევსებით თქვენ მისთვის თუ "ხალხის პირისპირ" ნაშებსა და აქროზებს.

ანკედა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიზორი "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

ქონდასადაც ტელევიზორი "ხალხის პირისპირ" შეიქმნა ანკედის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკედა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ძვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გააქვთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

სამონტაჟო ტელეფონის ნომერი:

პროფესია:

ასაკი:


საშუალო ადგილი

დასამსახურებელი კატეგორია: (მუშაობის ადგილი, რომელიც აკრავს გრძელვადიან, შეზღუდულ პერიოდში მუშაობის უფლებას, სადასამსახურე კლასი "არსებულ" ან ვერაირს შეუძლებს დასამსახურებელი, ან ნა-ინი ფუნქციონირება, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გააქვთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?



გთხოვთ, დააკრავთ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრავთ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანეროთ თქვენი სახელი და გვარი.

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გინორგზაურობთ საბავთველს ბარში და სხვ.)

არჩევანი რომ გქონდათ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისუბრებდით შეხვედრას, სად ნახვიდით მასთან ერთად და რატომ?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დღეს?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდათ, სად ნახვიდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რაგის შეცვლა საკუთარ გარემოებას ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მხარაი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვისი ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტყვებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გავიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს უგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმი?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტასახელი? ქონარეგულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ადგილებზე?)

გაქვთ თუ არა ურვეულო ნიჭი? (ხალხითა, შეხვედრით თუ არა სტაბილური პოპოლარის "მიზანის სწავლის" შესრულება, ან აპირებული მართლმართლი ღიბანების გაწევა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაცილოზა ჩვენს თავაში?

ურვეულო ან სინტეზის რამ თუ გადაგდინათ თავს? ქირძოდ რა?

ყველაზე ცუდი საშუალო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ზარალი - ჰაიდი კლუმი



ცნობილი მოდელის, ჰაიდი კლუმის გერმანულ თავფანისმცემლებს მალაზიების ქსელმა H&M-მა თავისი უკანასკნელი სარეკლამო კამპანიის უფასო პლაკატი მიანოდა. არა იმიტომ, რომ H&M-ს მათი გახარება უნდა, არამედ იმიტომ, რომ ამგვარად ქუროდობის და ვანდალიზმის აქტების თავიდან აცილებას ცდილობენ.

H&M-ის ერთობ სექსუალური საბანაო კოსტუმების სარეკლამო კამპანია ჰაიდის წყალობით ამ ქსელის ისტორიაში ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ის გერმანიაშიც წამოიწყო, უამრავი პლაკატი ან თავფანისმცემლებმა მოიპარეს, ან ფეშინისგან გააფუჭეს. ამის შედეგად კომპანიის ზარალმა უკვე რამდენიმე ათას ევროს მიაღწია.

ამ უმსგავსოებს შესაჩერებლად უფასო პლაკატების დარიცხვა გადანდა. გერმანელები კი ქირილეგენ, ჰაიდი კლუმის მოყვარულებს ასეთი წერილი ქრთამით ვერ შეაჩერებენ...

სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომი ფასად

ტექნოლოგია და მენეჯმენტი სკოლა (ლონდონი) გრძელად ხარისხის მოსაპოვებლად შედეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგია და მენეჯმენტი სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონში. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის დრამატული თეატრის პროგრამები გააქვით ხარისხის მოსაპოვებლად. ზორცილდება სანდერლენდის (გერმანიის) (სამედიკო) უნივერსიტეტთან ერთად; სოლი პროგრამები მენეჯმენტის ხარისხის მოსაპოვებლად ზორცილდება ისტ ლონდონის (გერმანიის) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელსა და მარტში (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). შორეი ქუჩის დაწყების თარიღი 2003 წლის 7 აგვისტო.

MBA

MSC

პარაკტინი / შინაგანი / IT
კომერციული კონსულტი / HRM
პროექტის მენეჯმენტი

საინფორმაციო ტექნოლოგია
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტეგრაციის ინჟინერია

სწავლის
ფასი

\$5950

საბაკალავრო 15.

ბუნების ან ბუნება ინჟინერიის ტექნოლოგია პროგრამის ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დამატებითი კურსი - BA (Hons) მილიონი ლონდონი £1955 (£ 6950 ყველაფერი).
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მილიონი ლონდონი £1950

ზამთრი ალენჯული თანხის გადახდა შესაძლებელია ებაჯოგოვრით

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტერნული ინტერნული ფისი კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £2005-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც მაღალი აკადემიური მოხრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსაზრებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიჭარ მუსაბეკოვი,
ტექნოლოგია და მენეჯმენტი სკოლის მიმღებ განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-997906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან ადგილობრივ ნარეზებზე: სონა მუსაბეკოვი
ტელ: 34 61 62, 8-93 35 20 67

მიდი, ნაომი!



ნაომი კემპბელმა განაცხადა, რომ თავისი მეგობრების, კიტი მოსისა და კლაუდია შიფერის შემყურე გადანყვიტა, ბავშვი გაეჩინა - რითა მათზე ნაკლები მისი თქმით, ასე თუ არ მოიქცა, შინაბურღი დაარჩება და პოდიუმზე დაბრუნება მოუწევს.

მზეთუნახავის მომავალი ბავშვის მამობის კანდიდატურაც შერჩეულია - ეს პოლიუდის ვარსკვლავი, რობერტ

დე ნირო გახლავთ. ნაომი მსახიობს უკვე შეხვედრია და გარიგების პირობების შესახებაც უსაუბრია.

ამჟამად დე ნირო მარტოა და, შესაბამისად, იოლი დასათრევი საკბილოც გახლავთ. მთელ ამ ამბავს მხოლოდ ერთი რამ უშლის ხელს - ნაომის საცაგელი ხასიათი. მეგობრებიც და პრესაც შიშობენ, რომ ამან შეიძლება ყველაფერი გააფუჭოს.

ჭილ სანდერი მოდას უბრუნდება

სამი წლის წინათ, გრანდიოზული სკანდალის შემდეგ "პრადას" ხელმძღვანელმა, პატრიციო ბერტელიმ, ჯილ სანდერი სამსახურიდან დაითხოვა - არც მგეტი, არც ნაკულები, საკუთარი მარკის დიზაინერის თანამდებობა დააკარგვინა. ახლა კი გამოცხადდა, რომ Prada Holding NV-ს თათბირებში პატრიციო ბერტელისა და მიუჩია პრედასთან ერთად ჯილ სანდერი მიიღეს მონაწილეობასო. "ჯილ სანდერის" ახლანდელი დიზაინერის, მილან ვუკპირიოვიჩის შესახებ ამ საბუთში არაფერია ნათქვამი, მაგრამ მისი კოლეგების შესახებ პრესის გაშობახილს თუ გადავხედავთ, მისი

ბედი არცთუ სახარბიელოდაა გადანყვეტილი.

ბერტელი ჯილის გადანყვეტილებით ალტაცებული ყოფილა: "დარწმუნებული ვარ, რომ მისი შემოქმედებითი ნიჭი და იდეები მის მიერ შექმნილ ცნობილ ფორმას კიდევ ბევრ გამარჯვებას მოუტანს". მიუჩია პრადაც ამ აზრს იზიარებს: "შესანიშნავია, რომ "ჯილ სანდერი" და ჯილი კვლავ ერთად იქნებიან".

თუკი გავიხსენებთ, რომ 2002 წელს "ჯილ სანდერმა" 28 მილიონ დოლარზე მეტი დაკარგა, "პრადას" ხელმძღვანელობის ენთუზიაზმი საცებით გასაგები ხდება.

ხუსიუს დახრილი კოშკი

ამჟამად უკვე მთელ მსოფლიოში ცნობილი ჩინური დახრილი კოშკი ხუსიუს 959 წელს უძველეს ქალაქ სუჭოუში აშენდა. პიზის კოშკის ეს "არქიტექტურული ნათესავი" 34 მეტრის სიმაღლის ბორცვზეა აშენებული, თვითონ ნაგებობა კი 47,7 მეტრის სიმაღლისა გახლავთ. ეს კოშკი სუჭოუს უძველესი ნაგებობა და მისი სიმბოლოა, ქალაქს კი ადგილობრივი მცხოვრებლები "ჩინურ ვენციას" უწოდებენ, რადგან ის უძველესი დროიდან არცხების ქსელზეა გაშენებული.

კოშკმა დახრა ჯერ კიდევ მინის დინასტიის ეპოქაში დაიწყო (1368-

1644). ამჟამად კი, ჩინელი მეცნიერების მონაცემების თანახმად, მისი დახრის კუთხე პიზის კოშკისასაც კი აღემატება.

1961 წელს ეს კოშკი სახელმწიფო ფასეულობად, 1975 წელს კი ტურისტებისათვის დახურულად გამოაცხადეს. მაგრამ სულ მალე ჩინეთში ჩაბრძანებულებს კვლავ შეგებლათ ხუსიუს დახრილი კოშკის მონახულება: ჩინეთის კულტურის მესვეურნი დარწმუნდნენ, რომ ტურისტები მას ერთი-ორი საუკუნე მაინც ვერაფერს დააკლებენ, არადა, დიდალი თანხის შემოტანა შეუძლიათ.

საქართველო

შეიძინეთ გავრთეთ!

ფირმა "ფენიქსი" ყველაზე წარმატებას.

სოცელ შპათს, რუსთაძე 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტელეკონსტორ "საოცებო ტოტოს" გათვალისწინებით.

დაწვრილებითი ინფორმაცია და კონფერენციების შესახებ ინტელის ბაზაში "24 საათიში".

კროსვორდი

ფსიქოლოგიური რეკლამა

რეკლამის ბაზრის რეკლამა

20-24-24
20-00-24

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტატი, ქალური და მარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიძინე შენელებული და გახმირებული შარდვა, შარდის დროს ნვა, შარდსაღნის ხვედის ბაგეთა მინებება, სუნი ან გამოხადნი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესხნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსაიზოგონ სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალი "სალხინოს" თვისებები აბრძობენ უფრო და მონებულსა საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ ავთიანებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.